საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №559
2020 წლის 17 ივნისი

ქ. თბილისი

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 25 მაისის №543 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 25 მაისის №543 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 25.05.2020, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.017038) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ქორწინების რეგისტრაციის წესი

1. ქორწინების რეგისტრაცია და პირველადი მოწმობის გაცემა დასაშვებია, მხოლოდ სპეციალური სარიტუალო მომსახურების გარეშე.

2. ქორწინების რეგისტრაცია არ ხორციელდება სააგენტოს ტერიტორული სამსახურის შენობის გარეთ.“.

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ბრძანების ამოქმედება

ეს ბრძანება მოქმედებს 2020 წლის 15 ივლისამდე.“.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებამდე, სპეციალური სარიტუალო მომსახურებით ან სააგენტოს ტერიტორული სამსახურის შენობის გარეთ ქორწინების რეგისტრაციის შესახებ წარდგენილი განცხადებების საფუძველზე ქორწინების რეგისტრაცია განხორციელდეს სპეციალური სარიტუალო მომსახურებით ან სააგენტოს შენობის გარეთ.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**